დამატებითი შეთანხმება №2

2018 წლის 28 მარტის №302/06 სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის შესახებ

ქ. თბილისი 24 აპრილი 2018 წელი

ერთის მხრივ, სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, წარმოდგენილი მისი ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ნუნუ ოვსიანიკოვას სახით (შემდგომში „შემსყიდველი") და მეორეს მხრივ, შპს „ალტა", წარმოდგენილი მისი დირექტორის კახა ჭოველიძის სახით შეთანხმდნენ შემდეგზე:

შეთანხმების საგანს წარმოადგენს 2018 წლის 28 მარტს მხარეთა შორის დადებულ №302/06 კონსოლიდირებული ტენდერის (CON170000077) საშუალებით სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა, კერძოდ:

1. ხელშეკრულების მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს ახალი რედაქციით – „ხელშეკრულების საგანია, საგრანტო პროექტების №FR17_439 (3 ცალი), №FR17_229 (1 ცალი), №YS-2016-69 (1 ცალი), №217500 (1 ცალი), №FR17_548 (1 ცალი) და მიხეილ ნოდიას სახელობის გეოფიზიკის ინსტიტუტი (2 ცალი) დაფინანსების ფარგლებში, შემსყიდველის მიერ სატენდერო დოკუმენტაციით განსაზღვრული შესყიდვის ობიექტის, 9 (ცხრა) ცალი სტანდარტული პორტაბელური/სატარებელი კომპიუტერის (შემდგომში სტანდარტული ლეპტოპი) სახელმწიფო შესყიდვა დანართი №1–ის, დანართი №2-სა და წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად."

2. ხელშეკრულების დანართი N1 ჩამოყალიბდეს წინამდებარე შეთანხმებაზე თანდართული რედაქციით.

3. 2018 წლის 28 მარტის №302/06 სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების სხვა დებულებები რჩება უცვლელი.

4. წინამდებარე **„დამატებითი შეთანხმება"** წარმოადგენს 2018 წლის 28 მარტის №302/06 სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

5. წინამდებარე **„დამატებითი შეთანხმება"** შედგენილია თანაბარი ძალის მქონე სამ ეგზემპლარად და ინახება მხარეებთან.

თსუ ადმინისტრაციის ხელმძღვანელი:

/ნ. ოვსიანიკოვა/

შპს „ალტა"-ს დირექტორი:

/კ. ჭოველიძე/

ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ №302/06

დანართი №1

#	საქონლის დასახელება	ბრენდი / მოდელი / წარმოშობის ქვეყანა	სურათი	რ-ობა	ერთ ფასი	სულ ფასი
1	სტანდარტული პორტაბელური/ სატარებელი კომპიუტერი	Lenovo / V310-15 / ჩინეთი		9	1 372.00	12348.00

შემსყიდველი:

სსიპ „ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი“

თსუ ადმინისტრაციის ხელმძღვანელი:
/ნ. ოვსიანიკოვა/

მიმწოდებელი:

შპს „ალტა“

შპს „ალტა“-ს დირექტორი:
/კ. ჭოველიძე/

1	გრანტი №FR17_439 – 3 ცალი (4116.00 ლარი)
2	გრანტი № FR17_229 – 1 ცალი (1372.00 ლარი)
3	გრანტი №YS-2016-69 – 1 ცალი (1372.00 ლარი)
4	გრანტი №217500 – 1 ცალი (1372.00 ლარი)
5	გრანტი №FR17_548 – 1 ცალი (1372.00 ლარი)
6	მიხეილ წოდიას სახელობის გეოფიზიკის ინსტიტუტი - 2 ცალი (2744.00 ლარი)